ჩანგი

№ 42
კვირა,
23 აგვისტო
1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ., ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.** ინახებს ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალურ წერილებზე გონორარის შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილების პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა ორი აბაზი. **ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, типографія „Сорапань“, **Калистрату Константиновичу Цуладзе.**

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:
როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით **7** მან., ნახევარი წლით **4** მან.

ქალაქ გარეთ
3 თვით—2 მან. 50 კაპ.
1 „ — — 90 „

თფილისში
3 თვით—2 მან. 20 კაპ
1 „ — — 80 „

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**
ცალკე ნომერი ყველგან—**ერთი შაური**
რედაქციის ადრესი:
რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.
ფულის გამოსაგზავნი ადრესი:
Тифлисъ, тип. „Сорапань“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

25 აგვისტოდან ისევ გაიხსნება

წიგნის მაღაზია „ალიონი“

თფილისი, კიროჩნი ქუჩა № 9. სახალხო სახლის პირდაპირ

იყიდება ყოველგვარი წიგნები. მაღაზიას აქვს შეძენილი დიდ ძალი **სახელმძღვანელო წიგნები** (учебныя книги) აგრეთვე **სამოსწავლო ნივთები**.

ვკისრულობთ ქართულ წიგნებისაგან ბიბლიოთეკების შედგენას. ქართულ წიგნების **კატალოგი** მსურველთ გაეგზავნება უფასოთ.

ვ. **გადილია.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Кирочная ул. № 9 книжный магазинъ „АЛОНИ“ **Василію Гадилія.**

გაიხსნა ახალი
თფილისის
კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ი. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. გ. ღამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეჩერა მიდება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ზ. ა. პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ზ. მ. მაკაროვი: შეჩერა მიდება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. გ. ს. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_1$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—43

ქ. ქუთაისში
თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

„გუთანი“,

შედგენილი ქართულ. გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ. (თვ. 0—11)

კბილის ექიმი
ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

ბათომში საქართოთ საჭიროა აგენტი

ჟურნალ-გაზეთების გასასყიდათ. შემოსავალი თვეში იქნება არა ნაკლები 30 მანეთისა. ზალოგათ საჭიროა 70 მანეთი. უპირატესობა მიეცემა ბათომში მცხოვრებს და გაზეთების გაყიდვაში დახელოვნებულ პირს. დაწვრილებით პირობის გაგება შეიძლება თფილისში ამხ. „სორაპანი“ მ. გაჩეჩილაძესთან.

ქართველ ინტელიგენტურ ოჯახში

ვღებულობთ სრულ პანსიონში მოსწავლეებს (სასურველია პროვინციიდან). შეიძლება აგრეთვე მომზადება.

ადრესი: მალაკანის ქ. № 50, ბინა 17. (10—4)

ნაფიცი ვექილი
ნიკო ელიავა
გადავიდა ოლგინსკი ქუჩაზე, სახლი № 47. 3—1

აბასთუმანში
კბილის ექიმი
სამსონ მაშაუმაძე
იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ლერ-მარკაროვისა № 42.

მასწავლებელი
თ. კიკვაძე

ამზადებს ქალ-ვაჟთ **გიმნაზიებისა, რეალური, საკომერციო, მიწის მზომელთა და იუნკერთა** სასწავლებლებისათვის, **კადეტთა კორპუსისა, სამასწავლებლო ინსტიტუტისა, საბუხგალტერო** კურსებისათვის, **სახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის საშეგირდოთ.**

მიიღება ანბანის უცოდინარი პატარა ბავშვები, რომელთა **ჯგუფში ჩაწერა** უკვე დაწყებულია.

მასწავლებლათ მოსამზადებელთა პირველ ჯგუფში უკვე ეწერებიან და სწავლა დაიწყება, როცა 6 კაცი შესრულდება.

სპეციალური მომზადება ქართული გიმნაზიისათვის.

ქირა თითო თვის **წინდაწინ.**

ადრესი: ვერა, ოლღის ქუჩა. ზემელის აფთიაქის ახლო, **№ 17.** 1 სექტემბრიდან ადრესი გამოიცვლება. (18—7)

თფილისი, 23 აგვისტო

სატახტო ქალაქის გაზეთების ყურადღებას იპყრობს კითხვა, თუ რას მოგვიტანს მომავალი წელიწადი. ლიბერალები იმედიანათ უყურებენ მომავალს: მათი აზრით, ამ ზაფხულში მომხდარი ფაქტები იმის მაჩვენებელია, რომ მომავალი სესია სახელმწიფო დუმისა მტკიცეთ დაადგება რეფორმების გზას და მთავრობაც, ასე თუ ისე, ძალა-უნებურათ ემორჩილება მთელი ხალხის საერთო მოთხოვნას და კეთილ-გონიერ მოქმედებას დაიწყებს. ლიბერალების ეს იმედები უმთავრესათ დამყარებულია იმ სიტყვებზე, რომლებიც წარმოსთქვეს დუმის ცენტრის წარმომადგენლებმა ინგლის-საფრანგეთში მოგზაურობის დროს და იმპერატორმა ამავ ქვეყნებში ვიზიტის დროს. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, გუჩკოვ-ბობრინსკი-ხომიაკოვმა ინგლისის წეს-წყობილებას მრავალი კომპლიმენტები უთხრეს და თავის მასპინძლებს არწმუნებდენ, რუსეთიც მალე „უფლებრივი სახელმწიფო“ შეიქნება, რადგან იგი საბოლოოთ კონსტიტუციის გზას დაადგა. მეფემ კი ოფიციალურათ მადლობა გადაუხადა ინგლისის მეფეს იმ სტუმართ-მოყვარეობისათვის, რომელიც გაუწიეს სახელმწიფო დუმის წევრებს ინგლისელებმა, და ამით, მაშასადამე, ოფიციალური კმაყოფილება გამოსთქვა დუმის წევრების მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე. ეს საკმარისი იყო, ჩვენი ლიბერალები სიხარულით ცას დასწეოდენ, მაგრამ მათ ერთი გარემოება დაავიწყდათ: მათ ყურადღება არ მიაქციეს იმას, თუ რა პირობებში იყო დუმის წევრების მიერ წარმოთქმული და მეფის მიერ მოწონებული ზემოაღნიშნული სიტყვები; მათ ყურადღებას გამოეპარა ის გარემოება, რომ დუმის წევრებს უთუოთ სასიამოვნო რამ უნდა ეთქვათ თავიანთ ინგლისელ კოლეგებისთვის და აბა, მათთვის რა იქნებოდა ისე სასიამოვნო, როგორც ინგლისის წეს-წყობილების მოწონება!

სიტყვებს რომ მხარი ავუხვიოთ და საქმეებზე გადავიდეთ, ჩვენ დავინახავთ, რომ აქ არც მთავრობას ეტყობა მეტისმეტი სურვილი „უფლებრივ სახელმწიფოს“ განმტკიცებისა და არც დუმის ცენტრი იტეხს თავს ამაზე ზრუნვით.

ფაქტი, რომელიც ყველაზე უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს რუსეთის შინაურ ცხოვრებაში, გერცენშტეინის მკვლელობის გასამართლებაა ფინლიანდიის სასამართლოს მიერ. სასამართლოს უკანასკნელ სხდომაზე საბოლოოთ გამოირკვა, რომ გერცენშტეინის მკვლელობის ორგანიზატორობა „ჭეშმარიტ რუსთა“ მთავარ საბჭოს უკისრია და ამ საბჭოს თავმჯდომარეს—დუბროვინს—მკვლელები დაუსაჩუქრებია 1000 მანეთით. „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მონაწილეობა გერცენშტეინის მკვლელობაში იმდენათ ეჭვს გარეშეა, რომ შავრაზმელთა ისეთი „პაპა“, როგორიც არის დეკანოზი ვოსტოროგოვი, ამ თავითვე ცდილობს მშრალზე დარჩეს და სხვა შავრაზმელთა ჩირქს აარიდოს თავი. მიუხედავათ ყველა ამისა, იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი არამც თუ ჯერ თავს არ იცხელებს დუბროვინის და კამპანიის სამართალში მიცემაზე, არამედ არავის წინაშე არ მალავენ თავის კეთილ-განწყობილებას შავრაზმელებთან: დაჭერის წინ იუსკევიჩ-კრასკოვსკი შჩეგლოვიტოვს სწვევია და მას უჩვენებია საბრალმდებლო ოქმი მის შესახებ. შავრაზმელები ისე იმედიანათ უყურებენ მომავალს, რომ ბულაცელმა კატეგორიულათ განაცხადა, დუბროვინს ვერავინ მოიყვანს სასამართლოშიო, „რუსკოე ზნამია“ კი, დარწმუნებულია, რომ მთავრობა გერცენშტეინის პროცესს იმ დაფარულ აზრით აწყობს, რომ მერე მით ისარგებლოს ფინლიანდელების არა-ლოიალობის დასამტკიცებლათ და ფინლიანდიის ავტონომია მოსპოს. მანამ კი, შავრაზმელები ხელმწიფისადმი თხოვნას ამზადებენ, ფინლიანდია რუსეთის საერთო მართვა-გამგეობის ფარგალში მოთავსდესო. შავრაზმელები მტკიცეთ არიან დაიმედებულნი, რომ მათი საქმე გაიმარჯვებს. და ამის საბუთიც აქვთ: მათ მშვენივრათ იციან, რომ მათი კავშირის ნიშანს უმაღლესი პირები ატარებენ გულზე... „როსსიამ“ უკვე ჩამოაგდო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საჭიროა გერცენშტეინის მკვლელები რუსულმა სასამართლომ გაასამართლოსო. ყველა ამას გარდა, შავრაზმელები მშვენივრათ გრძნობენ, რომ მათი საქმე და ბიუროკრატის საქმე გადაბმულია და მათი ფონზე გამოყვანა გამოიწვევს ბიუროკრატიის ფონზე გამოყვანას: ტყუილათ კი არ იმუქრებიან გერცენშტეინის მკვლელები: მოსპეთ ჩვენი საქმე, თორემ ყველაფერს ვიტყვითო.

„ოქტომბრისტების“ პოზიცია გერცენშტეინის მკვლელების გასამართლებაში არ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ განვლილმა დრომ მათ მაინც ასწავლა რამე. დუბროვინის და კომ. საქმეთა საგმიროთა გამომზეურებამ ოქტომბრისტები მხოლოდ იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ გერცენშტენის მკვლელობის გასამართლება უნდა ფინლიანდიის სასამართლოს ჩამოერთვას და რუსულ სასამართლოს გარდაეცესო. მემარცხენე „ოქტომბრისტების“ ორგანოს „გოლ. მოსკვი“-ს გული უკვდება, როცა ხედავს, რა ტანჯვას აყენებს ფინლიანდიის სასამართლო შავრაზმელებს: „რუს ქვეშევრდომთა ჯგუფს ელემენტარული უფლებრივი გარანტია მოესპოთო“, მოსთქვამს გულ-ჩვილი გაზეთი.

ამნაირათ, ჩვენ ვხედავთ, რომ არც მთავრობისთვის და არც დუმის წევრებისთვის არაფერი ახალი არ შეუმატებია განათლებულ ქვეყნებში მოგზაურობას და რუსეთის ბიუროკრატები, მემამულეები და მსხვილი კაპიტალისტები ინგლისურ „რეჩების“ ქვეშ ძველებურათ მალავენ „თათრულ“ სულს. აშკარაა, „უფლებრივი სახელმწიფო“ ჯერ კიდევ ოცნებაა და მისი დამყარება-განმტკიცებისათვის საჭიროა სხვა გზა და სხვა საშუალება.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 აგვისტო.

სპარსეთი.

ლონდონი. რეიტერს დეპეშით ატყობინებენ თეირანიდან, რომ ყოფილი შაჰი უარს აღარ ამბობს, რომ ადერბეიჯანის მამული მთავრობას გადაეცეს. მოხდა ინგლისის დელეგატების და სპარსეთის მთავრობის წარმომადგენლების თათბირი. შეადგინეს ოქმი, რომლითაც ყოფილი შაჰი სამი დღის განმავლობაში უნდა გავიდეს. შაჰს დაენიშნა წლიური პენსია 100,000 თუმანი.

თეირანი. აქ მოვიდა ოსმალეთის ახალი ელჩი ხასსა-ბეი.

მიუხედავათ იმისა, რომ ამნისტია გამოცხადდა, უცხოეთის ბესტში ჩამჯდარი პირები არ აპირებენ იქიდან გამოსვლას, რადგან ხალხის შურის-ძიების ეშინიათ. უნდათ საზღვარ-გარეთ წავიდენ და მისიას მცველებს სთხოვენ.

ოსმალეთი

სალონიკი. მიტროვიცაში რკინის გზაზე მომხდარ უბედურობის დროს დაიჭრა 18 სალდათი და ერთი აფიცერი.

გუშინ აქ გაიხსნა ბულგარეთის კონსტიტუციონურ კლუბების კონგრესი. ელბასანში გუშინ გაიხსნა ალბანელთა კლუბების კონგრესი.

სტამბოლი. რუსეთის საავათმყოფოს შენობის დასასრულებლათ აქ მოვიდა ყოფილი გენერალური კონსული გირსი.

რუსეთი.

ჩერნიგოვი. სოფელ სტეფანოვკაში დაიწვა 40 მოსახლე. ზარალი დიდია.

პოკროვსკის სლობოდა (სამარის გუბერნია). გუშინ დაიწვა 400 სახლი. ბევრი ოჯახი უსახლ-კაროთ დარჩა.

რიგა. კიევის მაზრის სოფელ კოლონშჩიკში დაიწვა 29 მოსახლე. ზარალი დიდია.

რიგა. „პროვოდნიკი“-ს რეზინის ფაბრიკაში ცეცხლი გაჩნდა. ზარალი 150 ათასი მანეთია.

სოსნოვიცი. დაიჭირეს დარაჯის 3 მკვლელი. ერთმა წინააღმდეგობა გაუწია და მძიმეთ დასჭრეს.

ეკატერინოსლავი. 15 აგვისტოს როცა ბროდსკის მაღაროების მუშებს (ტაგანროგის ოლქში) ფულებს ურიგებდენ, გაძარცვეს ფულის დამრიგებელი. ამ საქმეზე პავლოგრადის მაზრაში ოთხი კაცი დააპატიმრეს, რომლებმაც დაპატიმრების დროს პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს. სროლის დროს ორი მძარცველი მოჰკლეს, ერთი პოლიციელი დაიჭრა 5,900 მან., რომელიც გაიტაცეს მძარცველებს თან აღმოაჩნდა 3,393 მან.

კიევი. ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ დაადგინა პასუხის გებაში მისცეს სკვირსკის ქალაქის გამგეობის მთელი შედგენილობა, მათ ბრალს სდებენ, რომ ქალაქის საჭიროებებზე დახარჯეს 29,000 მანეთი, რომელიც ქალაქს არ ეკუთვნოდა. ქალაქის კასაში არ შეიტანეს შემოსული ფულები და სამსახურს უხეიროთ ასრულებდენ.

ხოლერა.

პეტერბურგი. ხოლერით ავათ გახდა 25, მოკვდა 11, ავათ არის 286.

დრისსა. ქალაქში და მაზრაში ხოლერით ავათ გახდა 14.

გუნგერბურგი. ავათ გახდა 1.

ეკატერინბურგი. ტიუმენში ავათ გახდა 2.

კიევი. ხოლერის შიში აქვთ.

ვიტებსკი. დღე და ღამეში ავათ გახდა 15, მოკვდა 5. თავიდანვე ავათ გახდა 508, მოკვდა 200.

კრონშტადტი. ავათ გახდა 1.

მოგილევი. უკანასკნელ 5 დღეში ავათ გახდა 7, მოკვდა 2.

იაროსლავლი. იაროსლავლში და რიბინსკში ავათ გახდა 35, მოკვდა 12.

საზღვარ-გარეთ.

პარიზი. გავასს ატყობინებენ ტანჟერიდან, რომ სულთან მულაი გაფიდმა აღუთქვა საფრანგეთის ელჩს, რომ დღეიდან როგის მომხრეებს აღარ დასჯის.

სტოკჰოლმი. გაფიცვის კომიტეტმა დაადგინა განაახლონ მუშაობა 24 აგვისტოდან ყველა საწარმოვო დარგში, გარდა იმ წარმოებისა, რომლებსაც სათავეში უდგას შვეციის მრეწველთა კავშირი, რომლის მუშებმა მხარი დაუჭირეს გაფიცვას სოლიდარობის გულისთვის და რომლებიც მზათ არიან უკანვე მიიღონ თავიანთი მუშები. კომიტეტი შეეკითხა მთავრობის შუამავალს, შესაძლებელია თუ არა ეხლა მთავრობის შუამავლობა. სეკდებორგმა უპასუხა, რომ მისი აზრით მთავრობა უარს არ იტყვის ჩაერიოს კონფლიქტში უკეთუ საქმის გადაწყვეტაში მონაწილეობას მიიღებენ ისინი, რომლებიც თავიდანვე იღებდენ მონაწილეობას დავაში.

როტტერდამი. უცაბედათ გარდაიცვალა ხოლერით ხოლერის ბარაკის ზედამხედველი ქალი. უტრეხტში ხოლერით მოკვდა მეზღვაურის ცოლი.

ფრიდრიხსგაფენი. „ცეპელინი მესამე“ გუშინ მოვიდა ცხრა ნახევარ საათზე.

უკანასკნელი ფოსტა

სპარსეთი.

სპარსეთის საქმეების შესახებ „რეჩის" თანამშრომელს უსაუბრნია ერთ-ერთ უცხო სახელმწიფოს დიპლომატთან, რომელიც სპარსეთის უკანასკნელ ამბებს დასწრებია. მას სპარსეთის საქმეების შესახებ შემდეგი უთქვამს: „ახალ რეჟიმს სპარსეთში მკვიდრი საფუძველი აქვს. აქ ისე პოპულიარული და მკვიდრი არ ყოფილა მართველობა არასოდეს როგორც ეხლა არის. ამას წინეთ სიკვდილით დასაჯეს მუშტეიდი შეიხ-ფაზლულა. სპარსეთმა ჯერ არ იცის იმის მაგალითი, რომ სასულიერო პირი სიკვდილით დაესაჯოთ. მხოლოდ გაბედულ მთავრობას, და თან ძლიერს, შეუძლია ასეთი ნაბიჯის გადადგმა. წესიერება სპარსეთის ყველა პროვინციებში თანდათან მყარდება. კაშკაის ხანი სულთან დოულე, რომელზედაც ამბობენ, თითქოს სპარსეთზე გალაშქრებას აპირებდეს და ცდილობდეს ტახტიდან ჩამოგდებულ შახის ისევ შახათ გამოცხადებას, სიმართლე არ არის. ის ნამდვილი კონსტიტუციონალისტია, მხარს უჭერს ყოველივე მოძრაობას, რომელსაც მიზნათ აქვს კონსტიტუციონური რეჟიმის განმტკიცება. მეჯლისის არჩევნები უფრო ცოცხლათ სწარმოებდა ვინემ გაზეთებში იუწყებოდენ. არჩეული დეპუტატები თეირანში იკრიბებიან. ორი დღის წინეთ ყაზვინში მდგომ რუსის ჯარში ავათმყოფობა გაჩნდა, რისთვისაც ის (ჯარი) თეირანისაკენ გადაიყვანეს, ყაზვინიდან 7 ვერსტის მოშორებით. სპარსეთის მთავრობამ სურვილი გამოსთქვა, რათა ჯარი თეირანისაკენ კი არ გადაეყვანეთ, არამედ ყაზვინიდან სხვა მხარეზე. ამ ჟამათ რუსეთის მისიასა და სპარსეთის მთავრობას შორის თეირანში მოლაპარაკება სწარმოებს სპარსეთის ზოგიერთ საყურადღებო საკითხებზე. სპარსეთის მთავრობა ცდილობს კონსტიტუციონურ რეჟიმს და აღიარებს რა პარლამენტის წინაშე თავს პასუხისმგებლათ, ყოველივე ღონისძიებას ხმარობს, რომ დაიცვას ყველასთან მეგობრული დამოკიდებულება.

შახის ახალი აღმზრდელი. შახის ახალი აღმზრდელი ჰაჯი-მირზა-მაჰომედ-ალი—საიახი—სპარსეთის ცნობილი მოგზაური და პროგრესიული მოღვაწე არის. (საიახი სპარსულათ ნიშნავს მოგზაურს). თუ რათ აირჩიეს შახის აღმზრდელათ 72 წლის ჰაჯი-საიახი და არა რომელიმე ევროპიელი, ამას თავისი საკუთარი მიზეზი აქვს. ჰაჯი-საიახი სოფელ მაგალლატის ღარიბი მოლას შვილია. პატარაობიდან ის მეტათ ცნობის მოყვარე ბავშვი იყო. ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, როდესაც მან მოიარა სპარსეთის სხვადასხვა ქალაქები და წმინდა ადგილები და გაეცნო იმ დროის გამოჩენილ პირებს. 20 წლის იყო, როდესაც ის დედ-მამას გაეპარა, გაიარა კავკასია და გავიდა საზღვარ-გარეთ, რომ გაეცნო იქაური ცხოვრება. სიღარიბის გამო ის იძულებული იყო ემუშავნა. ხშირათ ის შავ სამუშაოს ასრულებდა. ჯიბეში გროში არ ქონდა, ყოველივე გაჭირვებას იტანდა, არ იცოდა ევროპიული ენები, მაგრამ მან მაინც სძლია ყველა დაბრკოლებებს და თერამეტი წელიწადი მოგზაურობდა ევროპის სხვადასხვა ქალაქებში. ამ ხნის განმავლობაში მან შეისწავლა ევროპიული და აზიური ენები. მან ნახა ევროპა, აზია, ამერიკა და ავსტრალია, ის წარუდგა იმპერატორ ალექსანდრე მეორეს და მესამეს, შვეციის განსვენებულ მეფე ოსკარს, რომელთანაც დიდხანს ქონდა მიწერ-მოწერა, ბისმარკს და გარიბალდის. პარიჟში ის გაეცნო ერნესტ-რენანს, ვენაში—პროფესორ ვამბერის, მოსკოვში—აკადემიკოსს კორშას და სხვებს. 18 წ. მოგზაურობის შემდეგ ბომბეიაში მან გაიგო მამის გარდაცვალება და დაბრუნდა სპარსეთში. თეირანში ის წარუდგინეს შაჰს, ნასსრ ედდინს. ის არ შეუშინდა ძლიერთა ამა ქვეყნისა და სასტიკ კრიტიკის ქარ ცეცხლში გაატარა ნასრ-ედდინის მართვა-გამგეობა. ამან დიდი სახელი მოუპოვა მას. მის გარშემო შემოკრბენ პროგრესიული ელემენტები, როგორც მაგალითათ, ჰაჯი-მირზა-გუსეინ-ხან-სეპახსალარი, ამინედ-დოულე. მოსტაშარედ-დოულე, მალკომ-ხანი და სხვები. ჰაჯი-საიხის თხოვნით სპარსეთში მოვიდა ცნობილი ორატორი ლიბერალი სეიდ-ჯამალედ-დინ-აფგანი, რომელთანაც ერთათ მან დაიწყო აგიტაცია, შაჰის და მისი მომხრეების მოქმედების წინააღმდეგ. ორატორი ჩქარა გააძევეს თეირანიდან, ხოლო ჰაჯი საიხს სატუსაღოში უკრეს თავი. ის ბორკილებით დასჭედეს და ყაზვინის ციხეში ჩააგდეს, სადაც მან დაყო 22 თვე და განგებით სიკვდილით დასჯას გადარჩა. ჰაჯი-საიხი პირველი სპარსელია, რომელიც პოლიტიკურ დანაშაულობისთვის დასაჯეს, მაგრამ ვერც ციხემ, ვერც მუქარამ და ვერც აუტანელმა გაჭირვებამ მას ქედი ვერ მოახრევინეს და სატუსაღოდან გამოსვლის შემდეგაც განაგრძო თავისი საყვარელი საქმე. ის თავდადებით შეუდგა მუშაობას სპარსელ მონების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. როცა შაჰის ბრძანებით ის მიყავდათ საწამებლათ, რომ გაეცა მონაწილენი, ის სასახლის მოაჯირიდან გადახტა და რაღაც განგებით სიკვდილს გადარჩა. მის მოსვლის შემდეგ დაიწყო სპარსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობა. ისეთი წრე არ იყო, რომ მას მონაწილეობა არ მიეღო, მხოლოდ ის მუდამ უარს ამბობდა ეკისრა მეთაურობა, რადგან არ უნდოდა სხვებისგან გამორჩეულიყო და პირველი როლი ეკისრა, ამ პატიოსან მოხუცის ზნეობრივ სისპეტაკეს უნდა მიეწეროს ის, რომ უკანასკნელ ხანებში რეაქციონერებიც აღარ ფიქრობენ მასზე შურის ძიებას, როგორც ძირითად რეფორმებისთვის თავდადებულ მებრძოლზე.

ევროპიელები და ევროპის ელჩები ხშირათ მიმართავდენ ხოლმე მას, რომ გაეცნოთ სპარსეთის ცხოვრება და სარგებლობდენ მისი კეთილი რჩევით. მეჯლისის დანგრევის შემდეგ ის დიდხანს იმალებოდა, მაგრამ რეაქციონერებმა მაინც ხელი არ ახლეს. სპარსეთში ჰაჯი-საიხს იცნობენ, როგორც „სრულ კაცს". ის ისეთი წყნარი კაცია, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ის ცნობილი მოღვაწეა, არ უნდა სიცოცხლეში დასტამბოს მის მიერ შედგენილი „მოგზაურობის წიგნი".

და თუ ეხლა ის დასთანხმდა და ისეთი ძნელი საქმე იკისრა, როგორც ახალგაზდა შაჰის აღზრდაა, იმიტომ, რომ ეს სთხოვეს მას მისმა ერთგულმა და განუყრელმა მეგობრებმა. ეს პირველი ოფიციალური სამსახურია ჰაჯი-საიხისთვის, რომელიც მან იკისრა 72 წლის განმავლობაში.

რუსეთი

საშინელი შეცდომა. კურსკის გუბერნიაში, სოფელ გლოტოვოში, ვინმე გლეხი მაკაროვი შემთხვევით მეზობლის ეზოში გადავიდა. მეზობელმა მაკაროვი ქურდათ მიიღო და ყვირილი ასტეხა. ყვირილზე გლეხები მოცვივნდენ და მაკაროვი საშინლათ აწამეს. მაკაროვი წამებისაგან გარდაიცვალა. ამ საქმის გამო 8 კაცი დაატუსაღეს.

მუშების პროტესტი. პურის ექსპორტიორებს და ოდესის ნავთსადგურის მუშებს შორის ამ ჟამათ დიდი ბრძოლაა. ბრძოლა გამოიწვია ექსპორტიორების მხრით კვირა-უქმეებში მოთხოვნამ. ექსპორტიორები დაინტერესებული არიან, რაც შეიძლება მეტი პური გაიტანონ საზღვარ-გარეთის ბაზარზე. ამიტომ მოსთხოვეს მუშებს, რომ მათ კვირა-უქმე დღეებში და ღამ-ღამობითაც იმუშაონ. მუშები კი უარზე არიან და ვერავითარმა მუქარამ ვერ აიძულა ისინი უქმეებზე მუშაობს. მუშებმა თავისი პოზიცია სხვათა შორის ოდესის გრადონაჩალნიკის დადგენილებით გაამაგრეს. ამ დადგენილებით სასტიკათ აკრძალულია კვირა-უქმეობით მუშაობა. ექსპორტიორებმა ახლა შუამდგომლობა აძრეს მთავრობის წინაშე, გაუქმებულ იქნეს ასეთი დადგენილება. რით დასრულდება ეს შუამდგომლობა, ჯერ არ იციან.

პოლონელები და ერობა. როგორც გიცით, მთავრობამ გადასწყვიტა დასავლეთ ცხრა გუბერნიებში შემოიღოს ერობა. „კურ. დიტ." სწერს, რომ პოლონეთის საზოგადოება ძალიან ცოტა ინტერესით ეკიდება ერობის შემოღების საკითხს. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ პოლონეთის საზოგადოებამ დაჰკარგა იმედი. განზრახული ერობა იქნება ისეთი, როგორსაც მოელოდა ხალხი. საქმე იმაშია, რომ მთავრობამ, იმის შიშით, ვაი თუ ერობები პოლონურ თვითმმართველ ორგანიზაციებათ გადაიქცესო, შემოიღო სხვათა შორის არჩევნები ნაციონალური კურიების თანახმათ. არჩევნების ამგვარი სისტემა კი, ძლიან აღონებს და აფიქრიანებს პოლონელებს ერობების მომავალ ბედზე და ამიტომაცაა, რომ ასე უხალისოთ ეკიდებიან ისეთ საქმეს, როგორიცაა ერობის შემოღება.

საპყრების ფაბრიკაცია. „იუჟ. ვეს." სიტყვით, დაბანსკის სადგურზე შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი გამომჟღავნდა. ერთ ქუჩის კუთხეში ვიღაც მათხოვარმა ქალმა სამათხოვროთ საპყარი დასვა. საპყარის ახლო ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა გაიარა. მისი ყურადღება მიიპყრო საპყარი ბავშვის ხელოვნურმა სიმახინჯემ. გამოკითხვის დროს ბავშვმა შემდეგი განაცხადა: დედამამა-ჩემი მათხოვრებია. მოვედი ჩრდილოეთ კავკასიიდან. იპარავდენ პატარა ბავშვებს და განგებ ხელოვნურათ ამახინჯებდენ: უბრმავებდენ თვალს, უფუჭებდენ ხელების და ფეხების ძარღვებს და სხვ. მაშინვე მოიწვიეს პოლიცია. მათხოვრების გაჩხრეკის დროს ჭუჭყიან ფარაჯაში, ძონძებში გახვეული აღმოჩნდა ოთხი საპყარი ბავშვი. ყველა ესენი საშინლათ დამახინჯებული იყვნენ: თვალები დაევსოთ, ფეხები და ხელები გადაბრუნებიათ, მოგრეხილი ქონდათ და სხვ. მათხოვრები დაატუსაღეს.

ახალი ამბები

ეგზეკუციის მოხსნა. როგორც ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, ამას წინათ ვიღაცებმა სოფ. ჯურუყვეთში (გურიაში) მოკლეს აზ. სირია გიგინეიშვილი. ამიტომ ჯურუყვეთში საზოგადოებას მთავრობამ ეგზეკუცია ჩაუყენა. მცხოვრებლებმა სთხოვეს დეპ. ევგ. გეგეჭკორს, ეშუამდგომლა მას გუბერნატორის წინაშე ეგზეკუციის მოხსნის შესახებ. 21 აგვისტოს დეპ. ევგ. გეგეჭკორმა ინახულა ქუთაისის გუბერნატორი და სთხოვა ეგზეკუციის მოხსნა. გუბერნატორმა შეიწყნარა დეპ. გეგეჭკორის შუამდგომლობა და განკარგულება მოახდინა ხსენებულ საზოგადოებაში მოხსნილ იქნას ეგზეკუცია. ევგ. გეგეჭკორმა ამის შესახებ დეპეშა გაუგზავნა ჯურუყვეთის საზოგადოების მცხოვრებთ.

✦ **თათბირი ერობის შესახებ.** 21 აგვისტოს ა. ფიშერის თავმჯდომარეობით მოხდა მეორე სექციის კრება. კრებამ იქონია მსჯელობა თფილისის გუბერნიის საერობო დაწესებულებათა საბიუჯეტო-ფინანსიურ საკითხების შესახებ. მომხსენებელმა ფიშერმა წარმოადგინა ვრცელი სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი შემოსავალია მოსალოდნელი პირველ ხანებში, შემდეგ მოსალოდნელ დეფიციტს და სხ. მისი აზრით, შემოსავლის რაოდენობა მთელ გუბერნიიდან უდრის 1 მილ. 90,000 მან. აქედან ქ. თფილისიდან—34000 მან., მიუხედავათ ამისა, პირველათ საერთოთ დეფიციტი იქნება, მარა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ერობის დაწესებულებები იძენენ უძრავ-მოძრავ ქონებებს, ეს თანხა სავსებით საკმაოა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. ბოღუთინსკიმ ის აზრი გამოსთქვა, რომ შემოსავალი სამჯერ მეტი იქნება, ვიდრე მომხსენებელს გამოუანგარიშებია. ამის დასამტკიცებლათ მან მოიყვანა მრავალი საბუთები. კრება საერთოთ დაეთანხმა ამ აზრს და მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ციფრები სცნო მინიმალურათ და ზემოაღნიშნული თანხა პირველ ხანებში საკმაოა.

✦ **კიდევ ფულის გამტაცებელთა შესახებ.** პოლიციამ გამოარკვია: ნიკოლოზ ივანოვის მიერ 445,000 მან გატაცებამდე ალექსანდრე თოფურიძემ სხვა ამხანაგებთან ერთათ შეადგინა ფულის ტრანსპორტის, რომელიც უნდა გადაეტანათ შუა-აზიის რკინის გზით, გატაცების გეგმა. ამისათვის ა. თოფურიძემ 1908 წ. დეკემბრის დამლევს მოიწვია ქ. ქუთაისის მცხოვრები მიხ. ივანოვი და მისი ამხანაგი, რომლებიც ცხოვრობდენ ქ. ბათუმში. ესენი მოვიდენ ქ. კრასნოვოდსკში და ელოდენ ფულის ტრანსპორტებს, მარა მიხ. ივანოვმა და მისმა ამხანაგმა გაიგეს, რომ ტრანსპორტი მოაქვთ გაძლიერებული დაცვით, და თავი გაანებეს და დაბრუნ-

შეუპოვარი.

—

დაე დაჰქროდეს
ჩემს ობოლ ნავს ქარი ვნებისა;
აზვირთდეს, აღზდგეს
მძლავრ ქუხილით მკაცრ-ცხოვრების ზღვა;
ჩაჰქრეს მნათობი
დღეთა ჩემთა... გათენებისა,
ვერ შემაჩერებს!..
ვერც ერთ წუთით მე მისი რისხვა.
შიში, ყოყმანი,
ორთოლა და სხვა... ყველა ესენი
დიდი ხანია რაც დავმარხე...
ლაჩართა სენი.
ვერვინ შემიცვლის,
ვერც შემირყევს ჩემს წმინდა მცნებას.
მე მას ვემსახურებ...
ვემსხვერპლები ნათელ მშვენებას.
მისსა ტრაპეზზე სანთლათ ვანთებ,
მსხვერპლათ ვწვავ გულსა;
ვწირავ უცოდველ
შეუბღალავ წრფელ სიყვარულსა
და პირად შვებას,
ნეტარებას, მთელ სიხარულსა.
არ ვდევ უკუღმართ
ჟამთა სრბოლის შეუწყვეტ ქროლვას;
არც მის მომხრეთა
წარსულისკენ პირ-უკუ-ლტოლვას.
... და, მივაქროლებ...
ნავსა, ჩემსა... ობოლ-ტლუ ნავსა,
საითაც მიხმობს,
მიმიწოდებს ზე შთაგონება.
განსაცდელის ჟამს,
არ დავიხევ... გავწირავ თავსა...
შეურყეველ არს
ჩემი რწმენა, გული, გონება.
ჰოი, მრისხანე, ცხოვრების ზღვავ,
ნუ გგონება
რომ მეზღვაური
შენს ომს ცოცხლათ დაემონება.
მაშ, იმღლევარე!...
აამხედრე ტალღები ზღვაო
წყალთა მეუფევ,
ულმობელო ტიალ-გულ-ზვავო;
წინ!.. გადიარე,
ქარტეხილზე ამაყო ნავო,
მოუსვი ნიჩბებს
გაჰკარ მედგრათ ნაცადო მკლავო.

გ. ქუჩიშვილი.

საპყრობილეში

3. საერთო კამერაში.

(გაგრძელება)

არც ერთხელ, რაც თავი მახსოვს, არც ერთხელ მე არ მივალერსებივარ დედაჩემს ისე, როგორც მე მინდოდა მივალერსებოდი მას. რაღაც მაკავებდა, რაღაც არ მანებებდა, ვიღაც მეუბნებოდა, რომ სირცხვილია გრძნობების გამომჟღავნება—ТЕЛЯЧЬИ НѢЖНОСТИ—როგორც ამბობენ. და ეხლაც, როცა ის მოდის ხოლმე ჩემ სანახავათ, უცებ მომადგება პირზე ალერსიანი სიტყვა და თუმცა სულით და გულით მინდა ვუთხრა მას ეს, ვერ ვეუბნები. ვიღაცა უსულ-გულომ დაგვამახინჯა ძამია ჩვენ, ვიღაცამ სამუდამოთ შეგვიბოჭა სული, შეგვიბოჭა თავისუფლება... გიამბობ მე შენ, ერთ მოკლე ეპიზოდს ჩემი წარსულიდან. ის მოხდა ამ ოთხი თუ ხუთი წლის წინეთ.

მთელი სამი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი არა ლეგალურათ სამივე წელი გავატარე ერთ ქალაქში, ღმერთი კი, ისე მწყალობდა, რომ ყოველთვის ვუძვრებოდი ხელიდან ჯაშუშებს. ერთ საღამოს დავბრუნდი თუ არა ბინაზე, რაღაც ახირებული იჭვი დამებადა, დატუსაღების შიშმა შემიპყრო. თან კი, ზედმიწევნით დაღლილი ვიყავი და ძილი მინდოდა. ხოლო გამიელვა თუ არა თავში, რომ ამეღამ შეიძლება დამატუსაღონ, მე ველარ მოვისვენე, გადავწყვიტე სხვა ბინაზე წასვლა, სხვაგან დაძინება, ერთი მხრით მინდოდა წასვლა, მეორე მხრით კი ჩემი იჭვი არაფერზე არ იყო დამყარებული, მე ვიცოდი, რომ ჩემი ბინა ჯერ-ჯერობით შეუმჩნეველი იყო და თავიდან მინდოდა მომეშორებია ყოველივე იჭვი, რომ უფრო ადრე დამძინოდა, ავდექი და რამდენიმე სტაქანი ღვინო გადავკარი, მაგრამ ღვინომ დამშვიდების მაგიერ უფრო ამიშალა ნერვები, უფრო გამომაფხიზლა... მეტი გზა არ იყო, ჩავიცვი ტანზე და ქუჩაში გავედი. ქალაქის ცენტრში ერთი ნაცნობი ოჯახი მყავდა, პარტიას გარეშე მყოფი ოჯახი, მაგრამ პატიოსანი, დღევანდელი წესების მოწინააღმდეგე. აი იქ გადავწყვიტე წასვლა და წავედი კიდეც. ის იყო წვებოდენ, როცა მე იმათსა მივედი. დამიგეს საწოლი, იქაც გადავკარი ორიოდე სტაქანი ღვინო და ის იყო გავიხადე პიდჟაკი, რომ უცებ ზარს ჩამოჰკრეს. არ გაუვლია ერთ წუთს, რომ ისევ ჩამოჰკრეს ზარს და ამასობაში ჩემთან შემოირბინა დიასახლისმა.

— პოლიცია! ფურჩულით მითხრა მან,—ჩქარა ჩაიცვი, ეგების დაგმალო. რა თქმა უნდა, გადავიცვი პიდჟაკი და ფეხზე დავდექი. თავში კი ვიღაც გარკვევით, ცუდი დაცინვით მეუბნება: იგი შენ, იგი შენ...

— წამო, აი აქეთ წამოთ!

მხოლოდ სახლის სახურავზე მივეცი თავს ანგარიში იმაში, რომ დიასახლისმა გამიღო ვატერ-კლოზეტის კარი, იქ კედელზე აყუდებული იყო კიბე, ამ კიბით მე ავედი ჭერზე, სადაც გარეცხილი ნივთები ეკიდა თოკზე, იქ მოვნახე სახურავზე გასავალი კარები და სამ ეტაჟიან სახლის თავზე პირდაპირ ვარსკვლავებს შევხედე. ყველა ეს ჩავიდინე ჩემი მოხერხებული დიასახლისის შემწეობით. გამეცინა. „ახია ჩემზე. ეშმაკმა არ დამაყენა ჩემ ბინაზე, რომ აქ ჩავარდნოდი პირში მგელს"... უცებ თავში იბადება კითხვა: „რას იფიქრებენ თუ აქ დამიჭირეს!.. რევოლიუციონერი სახურავზე დამალული!.. გავამხიარულებ ჟანდარმების გულს, არ უნდა ლაპარაკი"!.. ზეციდან კი უთვალავი ვარსკვლავები დამცინიან, მიქნევენ თვალს, მთვარე ლაღათ და დინჯათ მიცურავს მათ შუა. და მავიწყდება ერთ წუთას მე სად ვარ, ან ვინ მომდევს, ვუცქერი ცას, გონება ჩემი მიცურავს ცის სივრცეში, შორს, შორს... უცებ ერთ წუთას თვალწინ მიდგება იქ წარმოუდგენელი მანძილი, რომელიც ჩემსა და ამ ვარსკვლავებს შორის არის და თითქოს ბრუ მესხმება... „ЗВѢЗДА СЪ ЗВѢЗДОЙ, ГОВОРИТЪ"! არაფერი ასეთი არ არის, ეს სხივი, ეს ვარსკვლავის შუქი გზაში, ვინ იცის, რამდენი წელიწადი, ასი, ორასი, ათასი, არის ვარსკვლავი, რომლის სხივი გზაშია მოსე წინასწარმეტყველიდან მოკიდებული და მხოლოდ რამდენიმე წლის წინეთ მოახწია ჩვენამდე... რა სიშორეა! რა სიშორეა! ბრუ მესხმის... უცებ მეცინება. მე მაგონდება ერთი პატარა ხუმრობა. ერთხელ ვკითხულობდი რომელიღაც წიგნს ასტრონომიაზე, სადაც მარსის შესახებ წავიკითხე, რომ ბევრი ნიშნებია იმის, რომ მარსზე გონებით დაჯილდოებული არსებები ცხოვრობენ და ამ ცხოვრების თვალსაჩინო ნიშნები ტელესკოპის შემწეობით მოჩანან კიდეცა. მყავდა მე ერთი მეზობელი მღვდელი, ფანატიკოსი, რომელსაც არაფერი არ სწამდა გარდა იმისა, რაც ბიბლიაში სწერია. აი იმას მოუყევი მე მარსის შესახებ.

— იცი მამაო, ვუთხარი ერთხელ,—არის ერთი ვარსკვლავი, მარსი ქვია. ამ მარსზე ცხოვრობენ ადამიანები. იქ მოჩანს უზარმაზარი არხები და სხვა ასეთები... ვეუბნები, რა თქმა უნდა, ზეზეურათ, დარწმუნებული, რომ სულ ერთია, აგდებულ პასუხს მივიღებ მისგან.

— ამის შესახებ არაფერი წერია სამღვთო წერილში, განვედ ჩემგან სატანა! მაგრამ სრულიად მოულოდნელათ მესმის ჩქარი პასუხი:

— ოჰო, აკი ამბობ საიქიო ჟრ არისო... ალბათ, იქ სამოთხეა! სამოთხე დაანახა ეგება ღმერთმა ულმერთო მეცნიერებს, რომ მოარჯულოს. ამ პასუხმა მე გამამხიარულა,

— ამას გარდა იქ მოჩანს უზარმაზარი გზები, რკინის გზების მაგვარი, რომელზედაც დადიან მატარებლები. მგზავრებიც დაინახეს ამ ბოლო დროს იქ.

— ჰო, ის, ალბათ, ცხონებულთა სულები სეირნობენ, ტკბებიან და ღმერთს ადიდებენ, ღაღადებენ: წმინდა არს, წმინდა არს უფალი საბაო..

— მოითმინე... დააკვირდენ ამ მგზავრებს და ყველა ღორის მაგვარი ცხოველები გამოდგენ!..

— თფუ! შეგაჩვენოს ღმერთმა—განვედ ჩემგან სატანა, განვედ! გადაიწერა პირჯვარი და გაჯავრებულმა დედაჩემს დამასმინა.

ვდგევარ სახურავზე და მაგონდება ეს ძველი ცოდვა, შეურაცყოფილი მორწმუნე ადამიანი, მაგრამ ყველაფერი ეს ერთ წამს მაგონდება და იმავე წამს მავიწყდება. მე ისევ მაგონდება მხოლოთ, რომ ჩემ ქვევით, ჩემი დიასახლისის ბინას აფორიაქებენ და მე მეძებენ. სახლის სახურავზე შორს შემიძლია წავიდე, სახლი სახლზეა მიწოლილი, სახურავი სახურავს ეკვრის, მხოლოთ მეათე სახლი აქედან უკვე ელობება გზაზე სახურავებს, იქით მეოთხე სართული არის აშენებული. ფეხაკრეფით, ნელა გავყევი სახურავს და მივედი იქ, სადაც პატარა ფანჯარა გამოდის ჩემკენ. მთვარე პირდაპირ სცემდა ფანჯარაში, მისი ქვედა ნახევარი თოვ-

დენ თფილისში. ამის შემდეგ თოფურიძემ და ამ საქმის ინიციატორებმა წინადადება მისცეს თფილ. მოქალაქეს პეტრე ივანოვს შეეკრიბა ბოროტ-გამზრახველთა ბრბო ხსენებულ საქმის სისრულეში მოსაყვანათ. უკანასკნელი დათანხმდა წინადადებაზე და შეადგინა მრავალრიცხოვანი ბრბო. ივანოვმა შრომისათვის ამხანაგებიდან მიიღო დიდ-ძალი ფული. ამის შემდეგ საქმე გადაეცა ნ. ივანოვს, რომელმაც სისრულეში მოიყვანა კიდეც. პეტრე ივანოვს ბრალდება სხვადასხვა ბოროტ-მოქმედებანიც. მას, სხვათა შორის, ბრალდებოდა ყალბი მოწმობებით ბაქოს ხაზინიდან 8,200 მ. მიღება, რისთვისაც გადაწყვეტილი ქონდა ორ წელიწად ნახევრით პატიმართა რაზმში გაგზავნა. გამოძიების დაწყებისას ბრალდებული ივანოვი დაპატიმრებული იყო 1 საპოლიციო ნაწილში, საიდანაც 15 ივლისს, დილის 5 საათზე გაიქცა. პოლიცია შეუდგა მის ძებნას და დააპატიმრა გორის მაზ. სოფ. კავთისხევში, სადაც ცხოვრებდა მისი ოჯახობა, როცა დააპატიმრეს, მან მოიწადინა გაქცევა, მარა ვერ მოახერხა და დარაჯის მიერ დაჭრილ იქნა ტყვიით კისერში. ამის შემდეგ ივანოვი ჩამოიყვანეს თფილისში და ჩასვეს მეტეხის ციხეში. (ი. ქ.)

◆ **სასამართლოში.** 21 აგვისტოს კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლომ გაარჩია გიორგი და გიგა ღვედაშვილების საქმე. ამათ ბრალი ედებოდათ პოლიციელებისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევაში 25 დეკემბერს 1908 წელს. საქმე გაირჩა სამხედრო კანონების ძალით. ბრალდებულებს იცავდა ივ. კარუხოვი. სასამართლომ ღვედაშვილები უდანაშაულოთ იცნო და გაამართლა.

— ამავე საოლქო სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა ბესარიონ სურმავას და გრიგოლ ბაქრაძეს, ხოლო სიმონ მაისურაძეს 8 წლით ციხე. მათ ბრალდებოდათ ნიკოლაიშვილის თორნეზე თავდასხმა და იქიდან 10 მან. და 50 კაპ. გატაცება.

◆ **გაზ. „ნოვოსტი ზაკავკაზია“.** ამას წინათ დახურული რუსული ყოველდღიური გაზეთი „ნოვოსტი ზაკავკაზია“ პირველ სექტემბრიდან ისევ გამოდის პ. გოთუას რედაქტორობით.

◆ **ახალი სასწავლებლები.** ახალციხის ქალაქის სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, რომ ნება დაერთოს მას გახსნას ქ. ახალციხეში სავაჟო პროგიმნაზია. აგრეთვე შუამდგომლობა აღძრა შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა შორაპნის მაზრის სოფ. ამაშუკში ოთხ-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებლის გახსნის შესახებ.

◆ **თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს** 21 აგვისტოს კრებაზე ღიათ დატოვეს საკითხი ქართული თეატრის იჯარით ქართულ დრამატიულ საზოგადოების ხელში გადაცემის შესახებ.

◆ **ხიზანი გლეხების მდგომარეობა.** გორის მაზრის სოფ. წინაგარიდან გვწერენ: ამ სოფელში მცხოვრები 30 კომლი გლეხი, რომლებიც შალვა რევაზისძე ერისთავის მამულში ცხოვრობენ და საკუთარი სახლ-კარიც აქვთ ბატონის მიერ ისეთ შევიწროებას განიცდიან, რომ იძულებული გახდენ მიეტოვებიათ თავიანთი სახლ-კარი. ისინი მიდიან კახეთისაკენ, იქნებ იქ უფრო შეღავათიან პირობებში ვიშოვოთ მიწაო.

◆ **შუამდგომლობა.** როგორც ვიცით, ეხლა ხან დაარსებული მე 12 საპოლიციო ნაწილი იწყება ავლაბრიდან, სადაც თფილისის და მინგრელსკი პოლკის ყაზარმებია მოთავსებული და შეიცავს მთელ ნავთლუღს. მთავრობას განზრახვა აქვს პოლიციის სამმართველოსათვის იქირაოს ბინა ნავთლუღში. ამის გამო ავლაბარის ნაწილში მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე, რომ ბინა სამმართველოსათვის იქირაონ შუაგულ ადგილას.

◆ **თფილისის ტრამვაი.** შარშან ალიბეგოვის დირექტორობის დროს სახელოსნოს მოსამსახურეებმა დირექციას შორის დადებულ ხელშეკრულობის გაუქმების გამო დირექციას უჩივლეს სასამართლოში. ამ საქმის შესახებ საზოგადოების რწმუნებულთან, ლებონთან მოლაპარაკება-შეთანხმების დროს, მოსამსახურეებმა ეს საჩივარი უკან გამოიტანეს და მოითხოვეს სასამართლოს ხარჯები. ამ ფულის გამოტანა და დარიგება ტრამვაის იურისკონსულტმა რუდნიკოვმა იკისრა. მან გამოიტანა კიდეც და მოსამსახურეთა სამ ჯგუფს სხვა და სხვა დროს დაურიგა, ხოლო მეოთხე ჯგუფისთვის არ მიუცია ხვედრი ფული „ჯერ ვერ ავიღეო“—უპასუხებდა მუშებს. მოსამსახურეებმა მოსამართლეს გაუგზავნეს კაცი და მოსთხოვეს ხვედრი ფული. მან განუცხადა, რომ მეოთხე ნაწილის ხვედრი ფული კარგა ხანია მიიღო თქვენმა იურის-კონსულტმაო. მოსამსახურეების წარმომადგენლებმა პირდაპირ დაუყენეს იურის კონსულტს მოსამართლე და გამოირკვა, რომ მას მართლა მიუღია ის ფული და თავის საკუთარ საქმეზე მოუხმარია. მოსამსახურეებს განზრახვა აქვთ იურის კონსულტი პასუხის გებაში მისცენ.

◆ **სევ. ჯულელის** გარდაცვალების გამო სამგლოვიარო დეპეშები მივიღეთ: ვოლოგდის გუბერნიის ქ. ველსკიდან კირილე ნინიძისაგან და ვასო ცაბაძისაგან, ასტრახანის გუბ. მალმიჟის მაზრიდან კ. გაბადაძისაგან. წერილები: ჩარჯუს (შუა-აზია) ქართველ ამხანაგებისაგან, ტ. შალიკაშვილისაგან, ბაქოს ციხეში მყოფ ტუსაღებისაგან და ბაირამ-ალიდან სამსონ გაბისონიასაგან.

◆ **ქართული ოპერეტები.** ხუთშაბათს, 27 აგვისტოს ქართულ საზაფხულო თეატრში პ. ფალიაშვილის საბენეფისოთ წარმოდგენილი იქნება „რაინდი უშიშარი და გულმართალი“ და „მეჯლისი იტალიელებით“.

◆ **სეირნობა.** 29 აგვისტოს „იუდანე“-ს ბაღში ქნ. ანდრონიკოვას გამგეობით გამართული იქნება დიდი სეირნობა.

◆ **ბავშვის დაკარგვა.** 13 აგვისტოს დაიკარგა უკვალოთ 13 წლის ყმაწვილი ნიკო კენჭიაშვილი, რომელიც ცხოვრობდა ანტონოვის ქ. კენჭიაშვილის სახლში. ბავშვი წასულა სახლიდან უქუდოთ; ფეხთ წაღები აცვია და ძველ ჭრელ ხალათშია. სთხოვენ, ვინც რამეს გაიგებს ამის შესახებ, აცნობონ ანტონოვის ქუჩ. სახლი № 12.

◆ **ფოსტის განყოფილება.** მთავრობამ ნება დართო სოფ. ბულაგორში გაიხსნას ფოსტის განყოფილება.

◆ **სეირნობის გადადება.** 23 აგვისტოს ოზურგეთში რეალურ სასწავლებლის სასარგებლოთ დანიშნული სეირნობა გადაიდო 6 სექტემბრისათვის.

◆ **თფ. პოლიცმეისტერმა** თხოვნით მიართა ქალაქის თვითმართველობას დააჩქაროს 9,375 მ. გადადება „გოროდოვოების“, პოლიციათა სტრაჟნიკების და ცხენოსან „გოროდოვოების“ შესამოსათ—სულ 625 კაცია.

◆ **დაჭრა.** 21 აგვისტოს მაგისტრალნი ქუჩაზე ჩხუბის დროს გორის მაზრის მცხოვრებმა იოსებ დანაჩიმ ჯიბის დანით დასჭრა გორისავე მაზრის მცხოვრები გაბო გოცირიძე, რომელმაც მოინდომა მოჩხუბართა გაშველება. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, ხოლო დანაჩი დააპატიმრეს.

◆ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 20 აგვისტოს ჩხრეკის დროს ზაღიცაში დააპატიმრა 5 კაცი, რომელთაც არ აღმოაჩნდათ პასპორტები. 21 აგვისტოს მე 6 საპ. ნაწილში დააპატიმრეს 9 კაცი.

◆ **არჩილ ჯაფარიძის** ოჯახობის სასარგებლოთ მივიღეთ ბაქოდან მუსა ნაგიევის ფირმის მუშებში შეკრებილი 5 მ. და გაგრიდან—ვარლამ გუგუშვილის მიერ შეკრებილი 4 მ. 80 კ. ფული გადაეცა დანიშნულებისამებრ.

სახალხო წარმოდგენების გამმართველ სექციის რეორგანიზაცია.

(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზ. „დროების“ № 183-ში მოთავსებული იყო ცნობა სახალხო წარმოდგენების გამმართველ სექციის რეორგანიზაციის შესახებ. რადგან ეს ცნობა არ ეთანხმება სავსებით სინამდვილეს, კითხვა კი საზოგადო ინტერესს არ არის მოკლებული, საჭიროთ ვთვლი გავაცნო მკითხველ საზოგადოებას საქმის ნამდვილი მდგომარეობა.

პირველი შეხედვით სახალხო წარმოდგენების საქმე მტკიცე ნიადაგზე დადგა იმ დღიდან, როცა ქართულმა სექციამ თავისი მოქმედება ავჭალის აუდიტორიიდან სახალხო სახლში გადმოიტანა. ნამდვილათ კი, საქმე სულ მუდამ ბეწვზე ეკიდა. მუდამ იმის შიშში ვიყავით—ვაი თუ პიესა დანიშნული დღისთვის ვერ მომზადდესო. ხან პიესას ვერ ავირჩევდით თავის დროზე, ავირჩევდით და წიგნს ველარ ვიშოვნიდით, ხან როლები ვერ განაწილდებოდა, ხან რომელიმე სცენის მოყვარე ავათ გახდებოდა, სხვაგან წავიდოდა და სხვ. მუდამ თვალი უნდა გვედევნებინა საქმისათვის, რომ წარმოდგენა არ ჩაშლილიყო.

განსაკუთრებით პიესების არჩევა გვიჭირებდა საქმეს. სარეპერტუარო კომისიას სამი თვის განმავლობაში არც ერთი ხეირიანი სხდომა არა ქონია (იყო ორი სხდომა, მაგრამ არც ერთი სხდომათ არ ჩაითვლება). ხან ერთს, ხან მეორე წევრს არ ეცალა, ამიტომ პიესებს სექციის სხდომაზე ვარჩევდით. სექციის წევრების უმრავლესობა როგორც საზოგადო, ისე დრამატიულ ლიტერატურასთან მწყრალათ იყვნენ. ამის გამო პიესის არჩევის დროს ისინი უფრო პირადი სიმპატია-ანტიპატიით ხელმძღვანელობდენ: ყურადღებას აქცევდენ იმას, თუ ვინ დაასახელა პიესა და არა იმას, თუ რა პიესა არის დასახელებული. ზოგი მათგანი ამას გულწრფელათ აღიარებდა. ზოგს კი თავისი აზრის გამოთქმაც უნდოდა და ასახელებდა ყოველ პიესას, რომლის სახელიც კი პირზე მოვარდებოდა, განსაკუთრებით, თუ პიესა ახალი იყო, მიუხედავათ იმისა, იცნობდა თუ არა პიესას. ამნაირათ, ერთხელ ისეთი პიესაც აირჩიეს, რომელიც ძირიანათ ეწინააღმდეგებოდა სექციის სახელმძღვანელო პრინციპებს. პიესის დამსახელებელი თავს იმითი მართლულობდა, პიესის შინაარსი აღარ მახსოვდა და იმიტომ დავასახელეო.

სექციის უმრავლესობის მოქმედება მხოლოთ სხდომებზე დასწრებით განისაზღვრებოდა. ისიც კი—ხშირათ არ ესწრებოდენ, ხშირათ მთელი საათობით იგვიანებდენ და თან, ისეთ მდგომარეობაში მოდიოდენ, რომ სექციის წევრმა ქ-ნმა რომანიშვილმა საჭიროთ დაინახა წინადადება შემოეტანა სექციაში: „დავავალოთ სექციის წევრებს, სხდომაზე მთვრალი ნუ მოვლენო“.

სხდომაზე დასწრების გარდა სხვა რაიმე საქმის გაკეთებით სექციის უმრავლესობა თავს არ იტკივებდა. სექციის წევრობის სურვილი კი ყველასა ქონდა და არავინ არ ფიქრობდა, ან საქმე ეკეთებინა, ანდა სხვისთვის დაეთმო ადგილი. ზოგი თავისს უფლებას **ЗЕМСКАЯ ДАВНОСТЬ**-თითაც ასაბუთებდა: „ამდენი ხანი შიმუშავნია, ეს საქმე მე დამიწყია და თუ ეხლა საქმე ისე გართულდა, რომ მე მისთვის გამოუსადეგარი ვარ, განა ამიტომ დავანებო სექციის წევრობას თავიო“. მეორენი ამბობენ: „ეს სახალხო საქმეა, და თუმცა მე აქ ზედმეტი ვარ, თეატრალურ საქმეების მე არა გამეგება რა, მაინც სექციაში უნდა ვიყო, რომ წავიდე ხალხი რას მეტყვისო“ და სხვა.

შეიძლება მკითხველს ეს ფაქტები შეთხზული ეგონოს, ნამდვილათ კი, ყოველივე ეს სიმართლეა, გადაჭარბებულიც კი არ არის და თუ საჭირო იქნა, დამტკიცებაც შეიძლება.

აშკარა იყო, თუ საქმე ამისთანა პირობებში დიდხანს დარჩებოდა, მასაც ის დღე დაადგებოდა, რაც არა ერთსა და ორს ჩვენ კულტურულს დაწესებულებას დაადგა. საქმე მცონარეების ხელში დაილუპებოდა. ამას ხედავდა სექციის წევრების და სცენის-მოყვარეთა ერთი ნაწილი, ამას დაინახავდა ყოველი გარეშე პირი, რომელიც საქმის მდგომარეობას გაეცნობოდა.

ვის უნდა მოეწყო საქმე? ჩვენი სექცია ოფიციალურად სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას ექვემდებარებოდა. უკანასკნელი სხვა ბევრი საქმეების გამო სექციის საქმეებს ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევდა და რაიმე თვალსაჩინო დახმარების გაწევა იმისთვის ამ შემთხვევაში ადვილი არ იყო. საქმისათვის ისევ იმათ უნდა ეშველნათ, ვინც მას იცნობდა და მისთვის გული შესტკიოდა. ამისათვის მოველაპარაკე სექციის წევრებს ქ-ნთ მ. დემურიას, ე. რომანიშვილს და ბ. სვირელს სექციის საქმის გაუმჯობესების შესახებ და ჩემი მოსაზრებაც გავუზიარე მათ. შევთანხმდით, რომ დღევანდელი სექცია საქმეს რიგიანათ ვერ გაუძღვებოდა, საჭირო იყო მოგვეწვია შესაფერი ინტელიგენტური ძალები მუშებიდანაც და არა მუშებიდან (და არა დიპლომიან-ატესტატიანი ინტელიგენტები), რომლებსაც საქმის კეთება შესძლებოდათ. სექციის დანარჩენი წევრები კი მიუხედავათ იმისა, თუ რამდენი ხანი ირიცხებოდენ სექციაში და რამდენათ პატივსაცემიც არ უნდა ყოფილიყო, აღარ უნდა მოგვეწვია. თუმცა დასაწყისში ამგვარ შეხედულებას ყველანი არ ეთანხმებოდენ, ბოლოს მაინც ეს გადაწყვეტილება ერთხმად მივიღეთ.

ამნაირათ, რეორგანიზაციის საჭიროება ოთხივემ ვსცანით, ეს მოლაპარაკება მაინც დიდხანს გაგრძელდა, რადგან შესაფერი კანდიდატების გამოძებნა ძნელი იყო. ბოლოს შევიმუშავეთ სექციის წევრების კანდიდატების სია, ძველი სექციის წევრებიდან (სულ იყო 14 კაცი) უნდა დარჩენილიყვნენ შვიდი, მათ შორის ერთი მუშა. მეორე მუშის მოწვევაზედაც იყო ლაპარაკი, მაგრამ რადგან მას ენკენისთვიდან სექციაში ჯამაგირიანი ადგილის მიღება სურდა და ამნაირი პირი კი სექციის წევრათ არ შეიძლებოდა ყოფილიყოს, ამისათვის იმის კანდიდატურა მოიხსნა. უნდა მოგვეწვია ხუთი ახალი წევრი, მათ შორის სამი მუშა, ერთი არა მუშა (ბ. გ. ლასხიშვილი). მეხუთე პირი კი, ჯერ მხედველობაში არავინა გვყავდა. ამასთან, გადაწყვეტილი იყო, რომ თავმჯდომარედ მ. დემურიას მაგივრად, რომელიც სექციის დაარსებიდან დღევანდლამდე მუდამ თავმჯდომარედ იყო, აგვერჩია ბ. გ. ლასხიშვილი, რადგან ქ-ნ დემურიას თავმჯდომარეობის არავითარი უნარი არა ქონდა და სრულიად მარტივი კითხვების გარჩევას რამდენიმე საათი ვუნდებოდით. ამაზე თვით

ლოვით თეთრი ფარდულით იყო დაფარული... აქ უნდა გავჩერდე... მაგრამ რომ ამოვიდენ სახურავზე, რომ დაათვალიერონ ეს? მაშინ სად უნდა წავიდე? ასე დავნებდე? არაოდეს! არაოდეს! პირდაპირ ამ ოთახში შევხტები და ვნახოთ—ან გავალ იქიდან ქუჩაში, ან და ჯანდაბას ჩემი თავი. და მე პირდაპირ მივდექი მას, მივადექი შეუმჩნევლათ, აჩრდილივით. მივაწევი კედელს და ცალი თვალით შევიხედე შიგ, ვინ არიან იქ, რა რჯულის ხალხია. შევიხედე და იქავე გავქვავდი.

ახალგაზდა ქალ-ვაჟნი ერთმანეთს ჩაჰკონებოდენ და გიჟივით ერთმანეთს ჰკოცნიდენ.

შევხედე ამ სურათს და გავქვავდი, ვერ მოვახერხე უკან დახევა... მთელი ქვეყნის ბედნიერება აქ, ამ პაწია ოთახში იყო ალბათ ამ წუთს. ამ ორ ადამიანის თავში ყოველივე კითხვა ახსნილი იყო და გათავებული. არ არსებობს არც სოციალური კითხვა, არც სიმდიდრე, არც სიღარიბე, არც ბრძოლა... არც მარქსი, არც ენგელსი, არც მუშათა პარტია, არც რევოლიუცია და არც მე, მათ ფანჯარას გადაღმა ქურდულათ დამალული, მათი უნებური მოწმე და ჟანდარმების მომლოდინე... ყოველივე ამაოა, ყოველივე სისულელე, სიმართლეა მხოლოდ ერთი რამ, ის, რომ იმათ ერთმანეთი უყვართ, ერთმანეთს კოცნიან, ერთმანეთს ეხვევიან. აი ეს არის სიმართლე, მხოლოთ ეს!..

მაგრამ მე მაღვიძებს მეორე სიმართლე.

— კარგათ გასინჯეთ! შეიძლება აქ არის... ნამდვილათ ვიცი, რომ ამ სახლში შემოვიდა, სად წავიდოდა, თუ არ აქ.. მაშ, მოდიან, აქაც მეძებენ... და ბევრი როდი მიფიქრია, უცებ ავიწი და ოთახში შევხტი.

— უი!.. შეკივლა ქალმა და ახალგაზდა კაცს გულში ჩაეკრა.

— ნუ გეშინიათ... თუ ღმერთი გწამთ ნუ გეშინიათ! გულ-გრილათ, დამშვიდებულათ ვეუბნები მე მათ და კარებს ვეძებ, რომელსაც ვპოულობ კიდეც. კარებთან გაჩერებული ისევ დამშვიდებული ვუცქერი მათ და მიკვირს, რომ მამაკაცი გაშეშებული ზის სადაც იჯდა იქ, ხოლო ქალი უკვე გაშორდა მას და ინსტიქტიურათ ცდილობს ტიტველი გულ-მკერდი დაფაროს. უცებ გულში ისარივით დამესო აზრი—ამ წუთას, აი ამ მშვენიერ ქალს შენ ეზიზღები, საშინლათ ეზიზღები!.. ოჰ, მეწყინა, ძალიან მეწყინა ეს! თან კი უკვე კარი გავაღე.

— მე რევოლიუციონერი ვარ. მე ჟანდარმები მომდევენ, სახურავზე არიან... მიწექით, თითქოს გძინავთ და არაფერი არ იცით. თქვენმა ფანჯარამ გადამარჩინა მე. გმადლობთ და მაპატიეთ! იცოცხლეთ, ბედნიერი იყავით, გიყვარდეთ ერთმანეთი, ეს არ არის სირცხვილი!... და ჩემს უკან მივხურე კარი, მსწრაფლათ ჩავირბინე გველივით დაკლაკნილ კიბეზე და ერთ წუთს შემდეგ ქუჩაში ვიდექი და იქით-აქეთ ვიცქირებოდი. მივედი ჩემ ბინაზე და მკვდარივით დავიძინე.

ვინ იცის თუ რამდენჯერ გამხსენებია მე ეს საღამო მას შემდეგ, კერძოთ ის სურათი, თუ როგორ კოცნიდა თავის სატრფოს ახალგაზრდა, გამხსენებია და, მართალს გეტყვით, შემზარებია. შემზარებია, რომ ასე თავდავიწყებით ეძლეოდა თავის გრძნობას, თავის სიყვარულის საგანს. ჩვენ რათ გვრცხვენია ცოტათი მაინც უწილადოთ ჩვენი გატაცება ჩვენს პირად სურვილებს, პირად გატაცებებს? განა ცრუმორწმუნეობა არ არის ეს—გრძნობათა დაბორკვა? ან და იქნება, მე მარტო ვიქცევოდი აგრე, მარტო მე ვარ ასეთი. ვიღაცამ დამბორკა მე, შემიბოჭა სული, ფრთები შეაჭრა ჩემ თავისუფლებას. მე მიყვარდა ერთი ამხანაგი ქალი და ისიც მარწმუნებდა, რომ ვუყვარვარ. არა თუ მარწმუნებდა, თითონ დაიწყო რომანი, ძალათ შემაყვარა თავი და მეც შემიყვარდა, მაგრათ, ღრმათ შემიყვარდა. მეტი მე არავინ მყვარებია არაოდეს. და აი, დავრჩებოდი თუ არა მასთან მარტო, მე უცებ ვდინჯდებოდი, ვფილოსოფოსდებოდი. გზაში კი მისკენ მიმავალი ვკოცნიდი მას, ვეალერსებოდი, ვეყვავებოდი, ვესაუბრებოდი, როცა მას ვერ ვხედავდი და როცა ვერავინ შემიტყობდა... ან და იქნებ ეს არ არის სიყვარული? სიყვარულის დროს გამიგონია, სხვა რიგათ იქცევიანო და აი იმ საღამოს ჩემი თვალით დავინახე ყველაფერი. მაგრამ რათ მიტაცებდა მე ის ისე ძლიერ თუ არ მიყვარდა, რათ მახსოვს დღისით და ღამით, რათ ამიჩქარდებოდა გული, როცა იმას დავინახავდი?

იცი?.. იგი ახლა სხვისი საცოლოა, მგონია ცოლია კიდეც, ის, რომელსაც გრძნობა დაეკარგა თურმე, როცა მე სიკვდილი მომისაჯეს, რომელიც ისეთ გიჟურ წერილებს მწერდა სატუსაღოში, ის ახლა სხვისი მეგობარია, სხვა უყვარს... როცა ეს გავიგე, დედაჩემმა გადმომცა, როცა ეს გავიგე მხოლოთ ერთი სურვილი დამებადა ყველაზე უწინ. მე ვინატრე საშუალება წავიდე იმისას, შევიდე მის ოთახში იმ დროს, როცა მისი ახალი მეგობარი იქ იქნება და ასეთი სიტყვების თქმა:

— მომილოცავს სონა ბედნიერება, მომილოცავს სიყვარული, შენი მუდმივი, უკვდავი „სიყვარული“ სონა... უკვდავია ხომ სონა შენი სიყვარული? შენ, რა თქმა უნდა, არ დაგავიწყდება შენი საქმრო, რომ მაგალითად, იმას გადაუწყვიტონ თხუთმეტი წლის, ოცი წლის, ან სამუდამო კატორღა, რომ იმას შეუკრან ხელი და ფეხი აი აგრე, როგორც მე, ჩააცვან ისეთი ტანსაცმელი, როგორიც მე მაცვია? ხომ არა, ხომ არ დაგავიწყდება სონა, მომილოცავს სონა შენი უკვდავი სიყვარული!..

ვეტყვი ამას და უკან დავბრუნდები. აი რა სურვილი დამებადა პირველათ, როცა გავიგე, რომ სონას სხვა ვინმე უყვარს.

ერთ კვირა დღეს მოვიდა დედა და დამჭკნარი, ყვითელი ღიმილით მითხრა: ამ ათი დღის წინეთ მე მესაუბრა სონა, რა დამინახა, ჩამეკრა გულში, ატირდა და შემდეგ მითხრა: გადაეცი კოლას, თუ შეუძლია დამივიწყოს და შემიძულოს მე საზიზღარი! მითხრა ეს, ისევ ატირდა და გამომემშვიდობა, უკანვე დაბრუნდა. ასე მითხრა დედა ჩემმა, თან კი გამიღიმა. მე კი მაშინ ის სურვილი დამებადა თავში. როგორ იტყვი, სასტიკათ მოვექცეოდი ვითომ, რომ მართლა მამეყვანა ეს სისრულეში?

რა თქმა უნდა, სასტიკათ მოვექცეოდი. სასტიკათ და უსამართლოთ.

Мертвый въ гробѣ мирно спи,
Жизнью пользуйся живущій!

ჩვენ ვიცით თუ რა არის სიყვარული, თუ რა უდევს მას საფუძვლათ, რა ფიზიოლოგიური კანონი... დიახ, სისასტიკე იქნებოდა ეს ჩემი მხრით და რომც მართლა მომეცეს შემთხვევა და გავიდე აქედან სონას არ ვინახულებ, არ მივალ მასთან, არ მივულოცავ სიყვარულს, არაფერს არ ვეტყვი, რომ არ დარცხვეს მას, რომ არ ემწვავოს ჩემი სიტყვები, არა, არაფერს არ ვეტყვი, ვინაიდან მე კეთილი ადამიანი ვარ...

ხპ. მცირიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ქ-ნმა დემურიამაც განაცხადა ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ თანხმობა. გულში რას ფიქრობდა, ეს კი, არ ვიცი.

სექციის სხდომაზე რეორგანიზაციის შესახებ კითხვა უნდა აღეძრა ქ-ნ ე. რომანიშვილს 17 მაისს, რაც მან შეასრულა და მისი წინადადება ერთხმათ იქნა მიღებული. მხოლოთ სარეორგანიზაციო კომისიის არჩევნები (კომისიაში უნდა შესულიყვნენ სხვათა შორის წინდაწინ მოლაპარაკების თანახმათ გოცირიძე და ტაროშელიძე) ფორმალური ხასიათის მოსაზრებით გადაიდო შემდეგი კრებისათვის, როცა სხვათა შორის სარეორგანიზაციო კომისიაში უნდა აგვერჩია ქ-ნი მ. დემურია და რომანიშვილი, რომლებიც ჩვენ ისევ ჩვენს აზრის მოზიარეთ გვეგულებოდნენ, რადგან აღარავითარი მოლაპარაკება აღარა გვქონდა, შეუერთდენ ჩვენს წინაალმდეგ იმ პირებს, რომლების სექციაში მოწვევა თითონაც სცნეს არა სასურველათ, გადასცეს მათ, რომ თქვენ სექციიდან გამორეკას გიპირობენ სვირელი და ტოროშელიძე (მარტო ეს ორი არიან თქვენი წინაალმდეგიო), რითაც სექციის წევრობის მოსურნე პირები ძლიერ აღშფოთდენ.

ამის შემდეგ თუმცა უმრავლესობა მათ მხარეზედ იყო, მაინც რეორგანიზაციამ ყველანი შეაფიქრიანა. ერთხელ გადაწყვეტილის უკუღმა გადაწყვეტა ვეღარ მოახერხეს, საქმე გააჭიანურეს და მხოლოთ მეხუთე სხდომაზედ, 25 ივნისს, აირჩიეს კომისიაში ჩვენს წინაალმდეგ ამხედრებული პირები. სიმართლე უნდა ვთქვათ, რომ მათ შეასრულეს ჩვენი დაწყებული საქმე, მათ გამოტოვეს სექციიდან სწორეთ ის პირები, ვისი გამოტოვებაც ჩვენ ოთხმაც ვსცანით საჭიროთ (კომისიის წევრებს გარდა). მხოლოთ მათ რიცხვს მიუმატეს ის სამი პირიც, რომელიც „დროებაში“ იყო მიახსენებული: სვირელი, გოცირიძე და ტოროშელიძე (და არა მარტო ეს სამი პირი, რომელნიც „დრ.“ იყო მოხსენებული). უმთავრესი ბრალი, რომელიც ამ სამ პირს დასდეს, როცა სიას ადგენდენ, იმაში მდგომარეობდა, რომ ამ სამმა პირმა მოინდომა სექციის რეორგანიზაცია. (ბ. გოცირიძეს მოლაპარაკებაში არავითარი მონაწილეობა არ მეუღია, თუმცა რეორგანიზაციის თანახმა კი იყო. ალბათ, ამ თანხმობისთვის ისიც გამორიცხეს).

საქმე ამნაირი დაბოლოვებით უკმაყოფილონი დარჩენ გამორიცხულ პირებს გარდა სხვა, საქმესთან ახლო მდგომი პირებიც, რაც საიდუმლოთ ვერ დარჩებოდა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისათვის· უკმაყოფილონი არიან უმთავრესად იმითი, რომ აქ პირადი ანგარიშებია ჩარეული. თუ მ. დემურია და ე. რომანიშვილი, როგორც ეხლა ირწმუნებიან, მართლა წინნაღმდეგი იყვნენ რეორგანიზაციის, საკმარისი იყო ეს ისევე გულწრფელათ ეთქვათ, როგორც სხვები უზიარებდენ თავისს აზრს მათ. მაშინ ჩვენც ამაზედ ფიქრს თავს დავანებებდით, ვეცდებოდით სხვა მხრით გვეშველნა საქმისთვის. თუ ვერ მოვახერხებდით საქმის შველას, მაშინ საქმეს თავს დავანებებდით, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ამითი საქმე შეფერხდებოდა, მაგრამ ასეთ ალიაქოთს არ გამოიწვევდა მაინც.

ოფიციალურათ პროტესტი „დროებაში“ მოხსენებულ პირებს არსად არ გაუცხადებიათ.

ხ. ტოროშელიძე.

პროვინციის ქრონიკა

ოზურგეთი. ამ დღეებში, სოფ. ჩვარბეთში ივ. გუჯაბიძემ ხანჯლით მოჰკლა მის სახლზე მომუშავე ბახვის საზოგადოების მცხოვრები დურგალი შავიშვილი. მკვლელობის მიზეზების შესახებ ბევრს სხვა და სხვა ხმებს ავრცელებენ, მარა უფრო დანამდვილებით ამბობენ, თითქოს შავიშვილმა ძალით ნამუსი ახადა გუჯაბიძის ქალიშვილს, რისთვისაც ღირსება დაკარგულმა მამამ ხანჯლით გასცა პასუხი. გუჯაბიძე უკვე დაპატიმრეს.

— ქუთაისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის თავს, რომ კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელმა ვერ სცნო საჭიროთ დაეკმაყოფილებია ქალაქის თვითმმართველობის მიერ აღძრული შუამდგომლობა, ქართველი ბელეტრისტის ეგ. ნინოშვილის ძეგლის აგების შესახებ ოზურგეთში, ქალაქის ბაღში.

— ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ბ. რისტკოვის სამსახურიდან გადაყენების შესახებ ხმები გამართლდა.—ამ დღეებში ის, უთვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდეს განკარგულებით, დროებით გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან. მისი მოვალეობის ასრულება დროებით დაევალა მის ყოფილ თანაშემწეს ბ-ს ჩუნიხინს.

— 14 აგვისტოს აღ. წუწუნავას ხელმძღვანელობით გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნა 3 მოქ. კომედ. „პედაგოგები“ საერთოთ წარმოდგენა კარგათ ჩატარდა და ხალხიც ბლომათ დაესწრო, რადგან ბილეთები ხელზედ გაიყიდა.

— 16 აგვისტოს ხან მოკლე ავათმყოფობის შემდეგ (სახადით) გარდაიცვალა ჯერ სულ ახალგაზდა 18—19 წლის მე-8 კლასის მოსწავლე ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიისა მოსე ჩოლაბარგია, მისმა ასე მოულოდნელმა სიკვდილმა ყველას გული დასწყვიტა.

მოსე ჩოლაბარგია ცნობილი იყო თავის ამხანაგებში როგორც კეთილი მუშაკი ადამიანი, ის ძალზედ ღარიბი მშობლების შვილი იყო, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ მისი დაუღალავი ენერგიის და მუშაობის წყალობით შევიდა ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, სადაც მშობლების დაუხმარებლათ მიაღწია მე-8 კლასამდინ (სწავლობდა და მასთან ერთათ ამზადებდა კერძოთ შეგირდებს). 1906 წელს აგვისტოს ბოლო რიცხვებში ის დააპატიმრეს სად. ნატანებში და ერთი თვე ოზურგეთის ციხეში იყო გამომწყვდეული.—საბრალო დიდ იმედებს ამყარებდა მომავალზედ. მიცვალებულის პატივსაცემათ აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი, უმეტეს ნაწილათ კი მოსწავლე ახალგაზდობამ. ქუთაისიდან იყო სამი დელეგატი (სკოლის ამხანაგები). კუბოს ამშვენებდა რამდენიმე გვირგვინი.

— **დიდი-ჯიხაიში** (იმერეთი). აქაურმა სცენის მოყვარეებმა ადგილობრივ სკოლის დარბაზში, 16 მარიამობისთვეს უფასო წიგნსაცავ სამკითხველოს სასარგებლოთ გამართეს წარმოდგენა. ითამაშეს სკაპენის ცუღლუტობა. წარმოდგენა კარგათ ჩატარდა. ხალხი ნასიამოვნები დარჩა. დასასრულს ბ. ვარ. რუხაძემ წაიკითხა თავის ლექსები, ახალგაზდა პოეტი რამდენჯერმე გამოიწვიეს სცენაზე და ტაშის ცემით და ვაშას ძახილით დააჯილდოვეს. შემოსავალი 100 მანეთამდე იყო.

— ამ ორი კვირის წინათ საზოგადოების ყრილობამ დაადგინა ითხოვონ გახსნილ იქნას ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება და პარალელურ განყოფილებიანი სასწავლებელი თავიანთ ხარჯზე, რაზედაც უკვე აირჩიეს კომისია.

— არ შემიძლია არაფერი ვსთქვა არჩეულ კომისიების უმოქმედობის შესახებ. თითქო მათთვის საკმაო იყოს მარტო. კომისიის სახელი ატარონ და ხალხის მიერ დავალებული საქმე არ გააკეთონ

აგერ ხუთი თვე გადის, რაც საზოგადოებამ კომისია აირჩია, რომელსაც უნდა გამოეკვლია ადგილობრივი მამასახლისის და მწერლის მიერ გაფლანგული ფულების საქმე, რომელიც 3,000 მ. აღემატებოდა და გასაჩივრებიათ სადაც ჯერ იყო. გამომკვლევით უკვე გამოიკვლიეს, მაგრამ ჯერ არც ხალხისთვის გამოუცხადებიათ და არც გაუსაჩივრებიათ. ნეტავ რას უყურებენ?

— 16 აგვისტოს, კვირას, აქაურმა ინტელიგენციამ წმ. გიორგის ეკლესიაში გადიხადა პანაშვიდი განსვენებულ მეორე დუმის ყოფილ დეპუტატის სევერიანე ჯუღელის სულის მოსახსენებლათ.

მუშათა შორის

ბაქოს ლიანდაგი. „კეროსინოპროვოდის მუშათა შორის. ბაქოს ლიანდაგზე მინკიჩაურში და ლიაპში ნავთისავან მილების ამოღება მიწიდან და გაწმენდა აღებული ქონდა იჯარით პანტელოვს. გაიგეს ეს თუ არა მუშებმა, ყოველი მხრიდან აწყდებოდენ სამუშაოთ, მაგრამ ცხადია, ადგილი აქ უფრო ქონდა ძველ მუშებს, რომლებიც უკვე გამოცდილები იყვნენ მუშაობაში. როგორც საზოგადოთ ხდება მოიჯარადრეებში, პანტელოვიც ცდილობდა ხელსაყრელ ფასებში დაექირავებია მუშები. დღიური მუშები დღეში ღებულობდენ 80 კ. მუშაობდენ დღეში არა ნაკლებ 15 საათისა. დღიურ მუშებს ზედამხედველათ უყვნდათ დანიშნული მოიჯარადრის მხრიდან ორი კაცი კ. ნოზაძე და დ. გარეჯოვი. ეს ვაჟბატონები სულ იმის ცდაში იყვნენ, როგორ გაეყვლიფათ მუშები. მიუხედავათ ამისა, რომ ისინი ჯამაგირს ღებულობდენ თვეში ხუთ-ხუთ თუმანს, მუშებსაც ართმევდენ სამ თუმანს, რომელსაც ისინი ეძახდენ ხარჯის ფულს (ცხადია, ეს მოიჯარადრემ არ იცოდა) ეს იმიტომ, რომ ისინი, როგორც ზედამხედველები და კარგათ მცოდნე მილებზე მუშაობის, ამიტომ მათ ორივეს ეკუთვნოდა თვეში თითოეულს 30 მ. მეტი რა გზა იყო, მუშებიც აძლევდენ მათ. მაგრამ დღიურ მუშებს ასეთ მუშაობიდან ადარაფერი დარჩათ. აქ ცოტათ თუ ბევრათ არტელის მუშებს ქონდათ სარგებლობა, ამიტომ დღიური მუშები იძულებული იყვნენ დღიურ სამუშაოზე სული აეღო და არტელის მუშებს შეერთებოდენ. ასე მოიქცენ კიდეც. ცხადია, დღიურ მუშების არტელთან შეერთების შემდეგ ეს ვაჟბატონები კ. ნოზაძე და დ. გარეჯოვი მშრალზე უნდა დარჩენილიყვნენ, მაგრამ ნათქვამია: ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსო და ასე მოიქცენ ისინიც; ბ. დ. გარეჯოვმა არტელშიაც შეიტანა თავის სხივები. მან მიმართა მოიჯარადრეებს: მე მყავს ორი ნათესავი, რომლებიც კარგათ მცოდნე არიან მუშაობის და მე ვეცდები, რომ ვერსტი მილის გაკეთებაში 80 მ. მოვარიგო, არტელის მუშებს და ჩემს ნათესავებს კი 110 მ. მიეცით. მოიჯარადრე დაეთანხმა გარეჯოვის რჩევას. ასე ამგვარათ გარეჯოვი შეიქნა არტელის ზედამხედველი. მან არტელი მოარიგა მოიჯარადრეს. ის ურჩევდა მუშებს 80 მ. აიღეთ და კარგი მოგება გვექნებათო, მუშებმაც დაუჯერეს, როგორც გამოცდილს, მაგრამ წარმოიდგინეთ, იზარალეს ასეთ ფასებში. ბოლოს ფულის აღების დროს გარეჯოვმა გაიტანა მუშებიდან ხვედრი ფული და შემდეგ შეძვრა ოთახში მოიჯარადრესთან. აქ ჩვენ გავიგეთ, რომ 80 მ. მაგივრათ გარეჯოვი მორიგებული ყოფილა მოიჯარადრესთან 110 მ. და ასე ამგვარათ, მუშებს აძლევდა 80 მ. რომელშიაც თითონ წილი ქონდა და დანარჩენი სამი თუმანს კი თავისთვის ისაკუთრებდა. მოიჯარადრე გაუძალდა—ვერ მოგცემ სამ თუმანს, რადგან მუშებმა 80 მ. გააკეთეს და შენ კი 30 მ. ზედმეტი მიგაქვს ვერსტზეო. აყალ-მაყალის შემდეგ გამარჯვება მაინც გარეჯოვს დარჩა.

მაკარი ნიკოლაიშვილი.

—

ხელზე მოსამსახურეთა ცხოვრებიდან. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენ, საკმაოთ ძლიერი კავშირი გვქონდა; დღეს კი მისგან მხოლოდ მოგონება დაგვრჩენია, მაგრამ ყველაზედ სამწუხარო ის არის, რომ მომავალ მოქმედებაზე არაფერს ფიქრობს ვინმე, პირ-იქით, ეგრეთ-წოდებული მოწინავე ელემენტებიც კი ჩაითვლენ საერთო უმოქმედობაში. ეს უკანასკნელნი, ნაცვლად იმისა, რომ ეცადონ საქმის ხელ-ახლა გამობრუნებას, წინააღმდეგ, აბუჩათ იგდებენ ყოველივე ჩვენ წმიდათა-წმიდას; დახმარება და სხვა ფეხებზედ კიდიათ... დაცინვით და რამდენიმეთ წყრომითაც გიპასუხებენ ხოლმე, როცა მიმართავ რომელიმე მათგანს ამეებისათვის. მათი დაცემა იქამდის მივიდა, რომ როცა მიმართეს სევ. ჯუღელისათვის გვირგვინის გაგზავნის შესახებ. დაცინვით გამოისტუმრეს უკან.

კარტის თამაში და სხვა ამგვარი გასართობები უფრო დღიურ მოვლენათ გადაიქცა. გულის ტკივილით გვიხდება ყველა ამაების აღნიშვნა, მაგრამ, რას იზამ როცა სინამდვილე ასეთია.

კოტე.

„ჩანგის ფოსტა.“

მასწავლებელს არჩილ სამსონიძეს, ნოე სადუქვაძეს, სიმონ მეფარიშვილს თქვენგან გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. შესცვალეთ ადრესი. ფულის მისალები ადრესი ნაჩვენებია გაზეთში.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. დადიშკელიანი.

მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

თფილისიდან გადის

ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

ბაქოსაკენ: 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

ბორჯომამდე: 1) სამგზავრო № 7|8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 910, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

ჯულფამდე: საფოსტო № 74|75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

ერევნამდე: სამგზავრო და საქონლ. № 78|79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

მცხეთამდე: მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში 1) სააგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) სააგარაკო № 77a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

თფილისში მოდის

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2, დილის 8 ს. 38 ს. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

ბაქოდან: 1) სამგზავრო № 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 7 საათ. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

ბორჯომიდან: 1) სამგზავრო № 7|8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო № 9|10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

ჯულფიდან: საფოსტო № 72|73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

ერევნიდან: სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

მცხეთიდან: მხოლოდ კვირა-უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის სააგარაკო № 76a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2. ს. 28 წ.).
საგარაკო № 6, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ..)

განცხადებანი

კბილის ექიმი

ს. ნ. მაცროსოვიჩ-სანოვიჩი.

დაპლომბის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით“ და „უპლასტინკოთ“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 (50—12)

ი ყ ი დ ე ბ ა

ორი ნაჭერი მიწისა თავად-აზნაურთა გიმნაზიასთან ვერაზე, ვაკეში: 1. ზომით 360 ოთხ კუთხი საჟ. 2—436 ოთხკ. საჟ. ორივე კუთხის ადგილია. იკითხეთ გ. ყიფშიძესთან იქვე, საკუთ. სახ., დილით, 10 საათამდე და საღამოთი 4—7 საათზე. (5—1)

◆ **სავაჭრო სკოლა** ◆

უფლებებით ვაჟთათვის და ქალთათვის

და

საბუხგალტერო კურსები

ორივე სქესის მოზრდილთათვის. ეგზამენები პირველში 24, 28, 31 აგვისტ. მეცადინეობა 1 სექტემბრიდან.

მიიღება თხოვნები. მეცადინეობა კურსებზე 15 სექტემბრიდან.

ადრესი: 1 თუმანოვის ქ. საკუთარი სახლი № 18. 1—1

ამით წინადადებას ვაძლევ ბ. **კარაპეტ ივანიჩ სააკოვს** გამომყვეს სამედიატორო სასამართლოში და დამიმტკიცოს ის შეურაცხყოფა, რომელიც მან მომაყენა თავის სავაჭრო სარდაფში 19 აგვისტოს. მედიატორეებათ ჩემის მხრით ვასახელებ ნიკოლაი ჭრელაშვილს და თევდორე ბარდაძეიშვილს.

ისაკი ალხანაშვილი.
1—1

პროვოდნიკის

ამხანაგობა

რიგაში

1888

1908 წ.

საფაბრიკო საწყობის განყოფილება ამიერ-კავკასიისთვის

თფილისში სოლოლაკის ქუჩა, № 4.

იყიდება ნარდათ და ცალობით

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა სულ იაფ ფასამდე.
დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.
დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.
რეზინის ლოუბელი.
№ 4. სავარცხლები რქის რეზინისაგან.

ცალობით ვაჭრობა დედამიწაზე საუკეთესო

№ 2. გალოშების „პროვოდნიკისა“

(24—5.—36).